სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა

ოქლიფის სკოლა

2023 – 2030

სარჩევი

ოქლიფის სკოლის შესახებ 2

სკოლის მისია, მიზნები, ღირებულებები 4

სკოლის სტრუქტურა 7

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 11

- სტრატეგიული მიზანი 1. ორგანიზაციული განვითარება 14
- სტრატეგიული მიზანი II. ინფრასტრუქტურის განვითარება 15
- სტრატეგიული მიზანი III. ხარისხის განვითარება 15
- სტრატეგიული მიზანი IV. სწავლების და მართვის ინტერნაციონალიზაცია 17
- სტრატეგიული მიზანი V. ცნობადობის შექმნა და განვითარება 18

სტრატეგიის შესრულების და მონიტორინგის შესრულება 18

ოქლიფის სკოლის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ოქლიფის სკოლის გრძელვადიანი, შვიდწლიანი

(2023 – 2030 წლების) მისიის, მიზნების, ღირებულებების და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებული სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნების და ამოცანების განმსაზღვრელ ძირითად დოკუმენტს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, საკუთარი რესურსების ეფექტურად გამოყენებით, სტრატეგიული პარტნიორების ხელშეწყობით და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების მოძიებით, სკოლამ მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

სკოლას ჰყავს 2 სტრატეგიული პარტნიორი Education Pathway Group Ltd (international foundation group), რომელსაც აქვს საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება და British University in Georgia რომელიც ახორციელებს Global Pathway Programme - ს. თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების მომზადებას სოციალურ მეცნიერებებსა და ბიზნესში, სპეციალური პროგრამებით. სკოლამ მიზნად დაისახა სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამების ინტეგრირება. საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამების წარმატებით გავლა არაჩვეულებრივ შესაძლებლობას შესთავაზებს თბილისში მცხოვრებ მოსწავლეებს, სკოლის დასრულების შემდეგ წარმატებით ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები ან, სურვილის შემთხვევაში, თავისუფლად გაემგზავრონ სწავლის გასაგრძელებლად მსოფლიოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში[1]

სკოლის მისია, ხედვა, მიზნები, ღირებულებები

ოქლიფის სკოლა არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება, რომლის მისიაა აღზარდოს პირობისეული ცოდნით აღჭურვილი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელიც ინტერკულტურული დიალოგის წარმართვით შეძლებს კარგად გაიაზაროს საკუთრი თავი და კულტურა, დაინახოს საკუთრი ადგილი მსოფლიოში

სკოლის ხედვა:

[1] Education Pathways Group Ltd - სთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სპეციალურ პირობას, რომლის თანახმადაც, შპს „ოქლიფის სკოლის“ ყველა მოსწავლე, რომელიც გაივლის საერთაშორისო მოსამზადებელ პროგრამას, მიიღებს მოწვევას გაერთიანებული სამეფოს სულ მცირე ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან.

2030 წლისთვის შპს ოქლიფის სკოლა იქნება ეროვნულ დონეზე აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო ჰაბი, რომელიც მოსწავლეებს უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტის განათლებით.

სკოლის მიზნები:

- შექმნას განათლების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული, მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, რომელშიც: მოსწავლეები ყალიბდებიან ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელ, თავისუფალ პიროვნებებად. იღებენ საჭირო ცოდნას და ივითარებენ გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს;
- დაეხმაროს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში;
- ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება;
- დაეხმაროს მოსწავლეებს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება- მოვალეობების გაცნობიერებაში;
- სკოლა ორიენტირებულია დახმარება გაუწიოს მოსწავლეს კარიერის დაგეგმვაში, უნივერსიტეტების და პროფესიული სასწავლებლების შერჩევაში, ხელიშეუწყოს მოსწავლეების შესაძლებლობებიდან გამომდინარე თანადაფინანსების მოძიებაში მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

სკოლის ღირებულებებია:

- **ორიენტაცია მუდმივ განვითარებაზე** - ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე და ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სიახლეებზე მისაწვდომობის ხელშეწყობა;
- **გუნდურობა** - სკოლისთვის პრიორიტეტია, რომ მისი საქმიანობის დაგეგმვა/წარმართვა/შეფასებაში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე (აღმინისტრაცია, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) და მათ ჰქონდეთ სკოლის განვითარების საერთო გაზიარებული ხედვა, რომელიც ორიენტირებული იქნება სკოლის მისიასა და მიზნებზე;
- **გამჭვირვალობა** - სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესთან მიმართებით, სკოლა არის ღია და მისი ღიაობა აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში, ასევე საინფორმაციო საშუალებებში (ვებგვერდი, სოციალური ქსელი);
- **თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები** - სკოლა ორიენტირებულია განავითროს ისეთი საგანმანათლებლო სივრცე, რომელშიც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს იგრძნობს სოციუმის სრულუფლებიან წარმომადგენლად, დაცულად, უსაფრთხოდ მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, ან სხვა ნიშნისა. სასკოლო საზოგადოების თოთოეულ წევრს მიეცემა განვითარების და საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზების საშუალება;

- **თანამშრომლობა გარე აქტორებთან** – სკოლა ღიაა თანამშრომლობისთვის ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ორიენტირებულია განავითაროს ურთიერთსასარგებლო კავშირები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ხარისხზე ორიენტირება –სკოლა ორიენტირებულია საკუთარი საქმიანობის, სწავლა/სწავლების პროცესის, მუდმივი მონიტორინგზე/შეფასებაზე და გაუმჯობესებაზე.

სკოლის სტრუქტურა


დირექტორი
დირექტორის მოადგილე საოპერაციო მიმართულებით
საერთაშორისო მიმართულების კოორდინატორი
დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით
ფინანსური მენეჯერი
ადმინისტრაციული მენეჯერი
ტექნიკური მენეჯერი
დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი
ექიმი
სოციალური მედიის მენეჯერი
საგნობრივი დეპარტამენტები
დამრიგებლები
ბიბლიოთეკის მენეჯერი
დამლაგებელი
დაცვა
ენების და სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტი
მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტი

SWOT ანალიზი

S – ძლიერი მხარეები ● კარგი პარტნიორული ურთიერთობები წამყვან საერთაშორისო, საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან. ● აკადემიური აფილაციის შესახებ ხელშეკრულება[2], რაც შესაძლებლობას აძლევს სკოლის კურსდამთავრებულს, სწავლა განაგრძოს დიდ ბრიტანეთში. ● სკოლის უწყვეტი საქმიანობისთვის საჭირო ფინანსური რესურსების არსებობა. ● მოსწავლეებისათვის მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება; ● ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება ● კარიერული დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერა; ● მოსწავლეთა მიერ სკოლის დამთავრების შემდეგ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა ● სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების და ინტერესების კვლევა; ● საერთაშორისო პროგრამის დანერგვისათვის კვალიფიციური კადრების არსებობა; ● განვითარებაზე ორიენტირებული გუნდი. ● ხელშეკრულება British University in Georgia -სთან, რომელიც ახორციელებს Global Pathway Programme - ს. ● ორიენტირება საერთაშორისო პროგრამების დამატებაზე:	**W –** სუსტი მხარეები ● საკუთარი სპორტული ინფრასტრუქტურის არქონა. ● საკუთარი შენობის ფართის სიმცირე. ● მოსწავლეთა გადაადგილებისთვის ტრანსპორტის არარსებობა; ● რეკრეაციული სივრცის არასებობა. ● სამკითხველო სივრცის არასებობა.

[2] სკოლასა და Education Pathways Group Ltd - ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

O – შესაძლებლობები	**T** – საფრთხეები
• საერთაშორისო კონტაქტების გამოყენებით მოსწავლეთა საზაფხულო სკოლებში და სხვა სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. • მზარდი მოთხოვნა ინგლისურენოვან სასაკოლო განათლების პროგრამებზე, მათ შორის ქართველი მოსწავლეების მხრიდან. • საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების შეძენა • მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით	• საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა. • მაღალკვალიფიციური უცხოელი პერსონალის მცირე რაოდენობა საქართველოში. • სწრაფადცვალებადი პოლიტიკა განათლების სისტემაში

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის, განვითარების შესაძლებლობების და საფრთხეების გათვალისწინებით, განისაზღვრა ხუთი სტრატეგიული მიზანი:

სტრატეგიული მიზანი I. ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზანი II. ინფრასტრუქტურის განვითარება

სტრატეგიული მიზანი III. ხარისხის განვითარება

სტრატეგიული მიზანი IV. სწავლების და მართვის ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული მიზანი V. საზოგადოებასთან თანამშრომლობა, ცნობადობის შექმნა და გაზრდა

თითოეული სტრატეგიული მიზანი აერთიანებს მის მისაღწევად შესაბამის სტრატეგიულ ამოცანებს/ქვეამოცანებს და შესრულების ინდიკატორებს, რაც დეტალურად განსაზღვრულია სტრატეგიის დანერგვის კალენდარში და სამოქმედო გეგმაში.

სტრატეგიული მიზანი 1. ორგანიზაციული განვითარება

ორგანიზაციულ განვითარებაზე მუდმივი ორიენტრება სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სკოლაში დანერგილია მართვის ეფექტური სისტემა და ასევე დაგეგმილია მისი პერიოდული შეფასება და განვითარება. აღნიშნული უნდა განხორციელდეს საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის კვლევით, ასევე, სასკოლო საზოგადოების პერიოდული გამოკითხვით, რეკომენდაციების შემუშავებით და მათი იმპლემენტირებით.

ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლისათვის უსაფრთხო გარემოს განვითარება სკოლაში, რაც გულისხმობს სკოლის მოსწავლეების და თანამშრომლების როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ უსაფრთხოებას.

ფიზიკური უსაფრთო გარემოს განვითარების მიზნით, სკოლას ყავს დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული წესების შესაბამისად, საჭირო პერიოდულობით უზრუნველყოფს სპეციალური ღონისძიებების გატარებას.

ემოციურად უსაფრთხო გარემოს შეფასება ხორციელდება რელევანტური მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების შემუშავებით და დანერგვით, საჭიროების შემთხვევაში, გატარდება აუცილებელი ცვლილებები.

სტრატეგიული მიზანი II. ინფრასტრუქტურის განვითარება

სკოლას მართლზომიერ მფლობელობაში აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, მიმზიდველ ლოკაციაზე, ჭავჭავაძის გამზირზე. ამასთან, სკოლა გეგმავს, უზრუნველყოს ახალი კამპუსის შექმნა ურბანულ გარემოში და მრავალფუნქციური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც თავის მხრივ, შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზარდოს მოსწავლეთა კონტინგენტიც. ასევე, დაგეგმილია კამპუსის მოწყობა არა-ურბანულ გარემოში, სკოლა-პანსიონისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოების წარმოება.

სტრატეგიული მიზანი III. ხარისხის განვითარება

ოქლიფის სკოლას წარმატებით აქვს გაელილი გარე შეფასება 2022 წელს, სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და სკოლამ მოიპოვა ავტორიზაცია. ამასთან, სკოლის პრიორიტეტია ხარისხის განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა. სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გადახედვა აუცილებელია სკოლის ლოკაციის ცვლილების და ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი წარმოადგენს უწყვეტ პროცესს,

დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების შემდეგ მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი განვითარების ფაზების დაგეგმვა.

ხარისხის განვითარების მიზნით, სკოლა გეგმავს:

მუდმივად იზრუნოს მაღალკვალიფიციური ქართველი და უცხოელი მასწავლებლების მოზიდვაზე შესაბამისი დასაქმების საიტებზე ვაკანსიების გამოცხადების გზით, ასევე, უცხოური პარტნიორი სკოლების დახმარებით მოიზიდოს უცხოელი მასწავლებლები, რომლებიც ჩაერთვებიან საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამის განხორციელებაში და სკოლაში დაგეგმილ სხვა ექსტრაკურიკულარულ აქტივობებში;

განავითაროს სკოლის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც დაეფუძნება საუკეთესო აღგლობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას;

შეისწავლოს პარტნიორი სკოლების გამოცდილება და გამოყენოს ის შიდა ხარისხის სისტემის განვითარებაში;

გარშემფასებელის შეფასებები, რეკომენდაციები და მითითებები გამოიყენოს ხარისხის შიდა სისტემის განვითარებაში.

სტრატეგიული მიზანი IV. სწავლების და მართვის ინტერნაციონალიზაცია

სკოლას აქვს საერთაშორისო კონტაქტები, და მათი უფრო განვითარების კარგი შესაძლებლობა. სკოლის დამფუძნებლებს და პარტნიორებს – შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენს და შპს იუნიქ ლერნინგს აქვთ საერთაშორისო პროექტების დაგეგმვის და განხორციელების დიდი გამოცდილება, მრავალ ქართველ მოსწავლეს აღნიშნული პროექტების ფარგლებში მიეცა საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის შესაძლებლობა. პარტნიორობა გამოყენებული იქნება სკოლის საერთაშორისო პროექტების დაგეგმვის და საერთაშორისო პარტნიორობის ქსელის გაფართოების მიზნით. სკოლა გეგმავს, პარტნიორობა დაამყაროს მაღალი რეიტინგის მქონე სკოლებთან და განიხილოს მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.

სკოლა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს საერთაშორისო ოლიმპიადებში, სამეცნიერო ღონისძიებებში, საზაფხულო სკოლებში და/ან სხვა სახის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობაში.

სტრატეგიული მიზანი V. ცნობადობის შექმნა და განვითარება

სკოლა თბილისის საზოგადოებისთვის შედარებით ახალია, ლოკაციის ცვლილების და რებრენდინგის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებასთან სწორი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც მიმართული იქნება არამხოლოდ ქართული, არამედ სხვა ქვეყნების საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებისკენ. დაგეგმილია სწორი მარკეტინგული კამპანიის წარმოება, შესაბამისი მარკეტინგული მასალების და საკომუნიკაციო არხების შექმნა, სკოლის ვებგვერდის და სოციალური გვერდის მუდმივი განვითარება, სკოლის პარტნიორების, სკოლაში სწავლების უპირატესობების და განხორციელებაში ჩართული აკადემიური გუნდის პოპულარიზება, საჭირო ფიზიკური ციფრული მასალების შექმნა და გაზიარება სკოლის ვებგვერდის და სოციალური გვერდის მეშვეობით, საკსოლო აქტივობების დოკუმენტირება, პოპულარიზება და მასალების გაზიარება საზოგადოებისათვის.

სტრატეგიის შესრულების და მონიტორინგის შესრულება

სტრატეგიის დანერგვის კალენდარი, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს, შესაბამისი მიზნების მიღწევის ვადებს და ინდიკატორებს, ასახულია დანართში. ამოცანების განსახორციელებლად შესაბამისი აქტივობები ყოველწლიურად მუშავდება და მტკიცდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სახით.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება ერთი მხრივ, სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის გზით და მეორე მხრივ, მიღწეული შედეგების სტრატეგიული მიზნების მიღწევის ინდიკატორებთან დადარების გზით.

სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ფაზა ითვალისწინებს შესაბამისი წლის მანძილზე დაგეგმილი აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეჯამებას და ანალიზს და შესაბამისი ანგარიშის მომზადებას. შესაბამისი ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი, საოპერაციო და აკადემიური მიმართულებებით მოადგილეების ჩართულობით.

სტრატეგიის შეფასების ფაზა დაგეგმილია სამი წლის სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების შეჯამების და მიღწეული შედეგების გაანალიზების გზით, სტრატეგიის დანერგვის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ.

როგორც სტრატეგიის შეფასების, ისე ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, სკოლაში მიმდინარე პროცესების, გარე ფაქტორების, ახალი გამოწვევების და პერსპექტივების და სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა.

სტრატეგიის დანერგვის კალენდარი

სტრატეგიული მიზანი I. ორგანიზაციული განვითარება	2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030

სტრატეგიული ამოცანა 1: ადამიანური რესურსის განვითარება ● შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება საჭიროების შემთხვევაში ● ადამინისტრაციული რესურსის შეფასება ● მასწავლებლების კომპეტენციის შეფასება ● ადამიანური რესურსის შეფასების სისტემაზე დაყრდნობით პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება ● სამუშაო შეხვედრებზე/ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა.							

სტრატეგიული ამოცანა 2. საბაზო საფეხურის დამატება ● საბაზო საფეხურის დამატებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. ● საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა მიღებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება ● სკოლის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების მომზადება, გადახედვა/განახლება.;							
სტრატეგიული ამოცანა 3. უსაფრთხო, ორგანიზებული გარემოს შექმნა ● სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა ● სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა ● ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება ● ვიდეო კამერების მონიტორინგი ● საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა							

სტრატეგიული ამოცანა 4. IB პროგრამის დამატება და განხორციელება ● IB პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება							
სტრატეგიული მიზანი II. ინფრასტრუქტურის განვითარება	**2023 -2024**	**2024-2025**	**2025-2026**	**20262027**	2027-2028	**2028-2029**	2029-2030
სტრატეგიული ამოცანა 1. საკუთარი შენობის აშენება ● ხელსაყრელ ლოკაციაზე ნაკვეთის მოძიება და შეძენა ● არქიტექტურული სამუშაოების განხორციელება და პროექტის შედგენა ● პროექტის შეთანხმება შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან ● მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების წარმოება ● საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენა ახალი კამპუსის კეთილმოწყობის მიზნით · ● სკოლის ახალი ფართის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა							

სტრატეგიული ამოცანა 2. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ● მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის/მოედნის მოწყობა და შესაბამისი მატერიალურ- ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა ახალ ლოკაციაზე							
სტრატეგიული ამოცანა 3. სკოლის კეთილმოწყობა. ● არსებული მდგომარეობის განვითარება და შენარჩუნება ● ინვენტარის და სხვა მასალების შეძენა ● ფართის დამატება ● წიგნადი ფონდის შევსება. საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება ● ლაბორატორიის ცღების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებით მომარაგება ● სპორტული ინვენტარის განახლება							
სტრატეგიული მიზანი III. ხარისხის განვითარება	**2023 -2024**	**2024-2025**	**2025-2026**	**20262027**	2027-2028	**2028-2029**	2029-2030
სტრატეგიული ამოცანა 1. ხარისხის მართვის შიდა სისტემის განვითარება ● სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი ● კვლევების ჩატარება ● მონიტორინგის და კვლევების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება ● დაბალიაკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა ● ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების დაგეგმვა							

სტრატეგიული მიზანი IV. სწავლების და მართვის ინტერნაციონალიზაცია	**2023 -2024**	**2024-2025**	**2025-2026**	**20262027**	2027-2028	**2028-2029**	2029-2030
სტრატეგიული ამოცანა 1. მაღალკვალიფიციური უცხოელი პერსონალის მოზიდვა ● დასაქმების ვებგვერდებზე ინფორმაციის განთავსება და კვალიფიციური კადრის აყვანა							
სტრატეგიული ამოცანა 2 უცხოენოვანი პროგრამის დანერგვა ● IB პროგრამის DP განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით შესაბამისი აქტივობების განხორციელება და დანერგვა ● ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელება							
სტრატეგიული მიზანი V. საზოგადოებასთან თანამშრომლობა, ცნობადობის გაზრდა	**2023 -2024**	**2024-2025**	**2025-2026**	**20262027**	2027-2028	**2028-2029**	2029-2030
სტრატეგიული ამოცანა 1. სკოლის საკომუნიკაციო ონლიან არხები მართვა ● სკოლის ვებგვერდის მართვა ● სოციალურ ქსელში სკოლის გვერდების მართვა ● სკოლის შესახებ ვიდეო რგოლების დამზადება							

სტრატეგიული ამოცანა 2. მოსწავლეთა მხარდაჭერა ● მოსწავლეთა ინტერესების კვლევა ● დამატებითი აქტივობების/პროექტების შეთავაზება და განხორციელება ● კარიერული დაგეგმვის გაკვეთილების წარმართვა ● მოსწავლეთა პროექტების პოპულარიზაცია ● გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა ● საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობის ხელშეწყობა							